ზმნის მორფოსინტაქსთან დაკავშირებული პრობლემების ანალიზი ქართულის, როგორც მეორე ენის, სწავლებისას

Analysis of problems related to verb morphosyntax in teaching Georgian as a second language

მაგისტრი: ნათია მაზიაშვილი

ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე ლინგვისტიკის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

პროგრამა: გამოყენებითი ენათმეცნიერება

სამეცნიერო ხელმძღვანელები:
რუსუდან გერსამია, ფატი რამიშვილი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
თბილისი, 2023

აბსტრაქტი

წარმოდგენილი სამაგისტრო ნაშრომის მიზანია გამოავლინოს არაქართულენოვანი სტუდენტების მიერ პრაქტიკული მუშაობისას დაშვებული გრამატიკული (მორფოსინტაქსური) შეცდომები და ლინგვისტური ანალიზის საფუძველზე ახსნას შეცდომების გამომწვევი მიზეზები. მეორე მხრივ, შემუშავდეს რეკომენდაციები, რომლებიც დაეხმარება ენის შემსწავლელს ქართულის, როგორც მეორე ენის, სწავლების დროს გრამატიკული პრობლემების დაძლევაში.

კვლევითი ნაწილი ემყარება ქართულის, როგორც მეორე ენისა და ინტეგრაციის პროგრამის ფარგლებში 2020-2021 და 2021-2022 სასწავლო წლისთვის E-learning-ის პლატფორმაზე ქართული ენის შემსწავლელ სტუდენტთა მიერ ელექტრონულად ატვირთულ წერით დავალებებს საგნებისთვის ,,ქართული ენა_ბ1“ და “ქართული ენა_ბ2“. საკვლევად შეირჩა ზემოთ მითითებულ სასწავლო პლატფორმაზე ოთხი სხვადასხვა ჯგუფის მიერ ოთხი სემესტრის მანძილზე ატვირთული მასალა.

კვლევითი მასალა კლასიფიცირდა ზმნის გვარის გრამატიკული კატეგორიების მიხედვით, მონაცემები დამუშავდა MS Exel-ის ფაილში. რაოდენობრივი ანალიზის საფუძველზე ერთმანეთს შეუდარდა ბ1 და ბ2 დონეზე დაშვებული ერთნაირი ტიპის მორფოსინტაქსური შეცდომები, რამაც მოგვცა საშუალება, დაგვედგინა თუ რამდენად არის დაძლეული სწავლების პროცესში ზმნის მორფოსინტაქსური პრობლემა ქართული ენის სწავლების უფრო მაღალ საფეხურზე.

თვისებრივი კვლევისას გამოყენებული იყო დესკრიფციული და ტიპოლოგიური მიდგომები. ლინგვისტურად გაანალიზდა ქართულის, როგორც, მეორე ენის შემსწავლელთა მიერ დაშვებული მორფოსინტაქსური შეცდომები, რომლებიც უკავშირდება ზმნის მრავალპირიანობასა და ზმნურ კონსტრუქციაში ძირითად აქტანტთა ბრუნვაცვალებადობის გაგება-გააზრებას.

ნაშრომს აქვს პრაქტიკული ღირებულება; ანალიზის საფუძველზე შემუშავდა რეკომენდაციები, რომლებიც გარკვეულ დახმარებას გაუწევს მასწავლებლებსა და სტუდენტებს ქართულის, როგორც მეორე ენის, სწავლების პროცესში. მიუხედავად იმისა, რომ გრამატიკა საშუალებაა საკომუნიკაციო ენის სწავლებისას და არა მიზანი,

ქართული ენის რთული მორფოლოგიური ბუნებიდან გამომდინარე, რაც თავისთავად აისახება ზმნის სტრუქტურასა და კონსტრუქციაზე, რეკომენდირებულია ქართულის შემსწავლელს ეტაპობრივად მიეწოდოს მორფოსინტაქსურ სისტემაზე დამყარებული ლოგიკური გრამატიკის წესები და შესაბამისი ცხრილები.

საკვანძო სიტყვები : *ზმნის მორფოსინტაქსი, ზმნური კონსტრუქცია, სუბიექტისა და ობიექტების გრუნვები, ზმნის გვარი, ზმნის სწავლება.*

Abstract

Aim of the given Master thesis is to reveal grammar (morpho-syntactical) mistakes by non-Georgian speakers while having practice, on the one hand and develop different kind of exercises and recommendations based on analysis that will help a language learner to overcome problems with grammar while studying Georgian as a second language, on the other.

Research part is based on electronic material for the subjects: Georgian Language B1 and Georgian Language B2 uploaded by Georgian language learner students within the scope of the program Georgian as a second language and integration for 2020-2021 academic year on the e-learning platform. Student papers from four groups were selected for the research during the semester.

The research material was classified according to the grammatical categories of the verb gender, the data was processed in an MS Excel file. Based on the quantitative analysis, the same type of morphosyntactic errors made at B1 and B2 levels were compared, which allowed us to determine to what extent the morphosyntactic problem of the verb is overcome in the teaching process at a higher level of teaching the Georgian language.

Descriptive and typological approaches were used in qualitative research. The morphosyntactic errors which were made by learners of Georgian as a second language, and are related to the multiplicity of the verb and the understanding of the rotation of the main actants in the verb construction, were analyzed linguistically.

The work has practical value; Based on the analysis, recommendations were developed that will provide some help to teachers and students in the process of teaching Georgian as a second language. Although grammar is a means of communication language teaching and not a goal, due to the complex morphological nature of the Georgian language, which is reflected in the structure and construction of the verb, it is recommended that the learner of Georgian be gradually provided with the rules of logical grammar based on the morphosyntactic system and the corresponding tables.

Keywords: Verb morphosyntax, verb construction, rotations of subject and object, verb gender, verb learning.